ფოკალიზაცია

ნარატიული ტექტების შესწავლისას, მკვლევარი ორი ძირითად კითხვაზე პასუხის გაცემას ცდილობს: ვინ ყვება ? და ვინ ხედავ ?

კვლევისას, ფოკალიზაციის ნარატოლოგიური კატეგორია ხშირად მოიაზრება როგორც თვალთახედვა, თუმცა მკვლევარებს მასზე განსხვავებული მოსაზრებები გააჩნიათ და სხავდასხვა ტერმინითაც სარგებლობენ: თუ ბახტინისთვის ნარატიული ტექსტის უმნიშვნელოვანეს ანალიტიკურ კატეგორიად მოიაზრება *ხმა,* რაც მისი პოლიფონუირი და მონოფონური რომანების ძირითად განმასხვავებელ კატეგორიას წარმოადგენს, პ. რიკორი ამ ტერმინის *თვალთახედვით* ჩანაცვლების მომხრეა. ჟ. ჯენეტი კი, რომლისთვისაც ძირითადი სწორედ ხედვის კუთხეა, ამ მოვლენას **ფოკალიზაციას** უწოდებს. ძნელია არ დაეთანხმო ჟენეტს, რომელიც, ბოლო საუკუნეში ნარატივის კიდევ ერთი ფორმის მნიშვნელოვანი ზეგავლენით უნდა ხემძღანელობდეს: კინემატოგრაფში ფოკალიზაცია განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს: ის თუ ვისკენ არის მიმართული კამერის მზერა, იმ მხატვრული ხერხად უნდა განვიხილოთ, რომელიც რეჟისორის და ოპერატორის ოსტატობას ავლენს. ასევეა მხატვრუ-ლიტერტურულ ტექსტებში: ფოკალიზაცია სტილის თვისებურებას და სტილისიტკურ ხერხად მოიაზრება, რაც მწერლურ ტექნიკას სრულყოფს. ფოკალიზაცია როგორც მიკრო სისტემანში, ასევე მაკროსისტემაში შეიძლება გაანალიზდეს. თეორიულად, ფოკლაიზაცია მიკროსისტემაში ანალიზისაც თითქმის ყოველთვის შეიცვლება. უცვლელი სახით იგი მხატვრულ-ლიტერტურული ტექსტის ზოგადი ანალიზის შემთხვევაში აღიქმება. ვფიქორბ, სწორედ ესაა არა მარტო ტერმინოლოგიური, არამედ ფოკალიზაციის თვისობრივი, შინარსობრივი განსხვავების მიზეზიც.



სტილისტიკური ხერხი ხელოვნების ერთიან სივრცის კუთვნილებაა, მით უფრო რომ, ერთი მხრივ, კინემატოგრაფი და მეორე მხრივ – ლიტერატურა ორივეს მიზანს ამბის თხრობა წარმოადგენს, ერთმანეთთის ზეგავლენით მხატვრული ხერხების და საშუალებების ნასესხობებით, ურთიერთდავალებულნი არიან და ამის უარყოფა შეუძლებელია.

მხატვრულ-ლიტერტურულ ტექსტში ფოკალიზაცია ასევეა დაკავშირებული ვიზულაიზაციასთან. ასე მაგალითად, რაკურსი რომლითაც მოვლენები დანახულია მარგერიტ დიურასის რომანში „Moderato cantabile''. რომანში შეიძლება ვილაპარაკოთ მოვლენათა ასახვაზე და არა თხრობაზე, მით უფრო, რომ ნაწარმოებში მოსათხრობი თითქმის არაფერია: სიუჟერი სამყაროსავით ძველია და mise en abime-ის გამოყენებით, მკითხველისთვის უკვე ცნობილია თუ რით დასრულდება ბურჟუას და მუშის სასიყვარულო ურთიერთობები. თხრობას მ. დიურასი ოსტატურად უსადაგევს კამერის ეფექტს, რითაც წიგნი მკითხველის თვალში კი არ აგებს, არამედ იგებს.

„თვალთახედვა'' უფრო ფართო მცნებაა: იგი შეიძლება ავტორის, პესონაჟის ამა თუ იმ მოვლენის შესახებ მოსაზრებად, მსოფლმხედველობად წარმოვიდგინოთ. იმ დროს, როდესაც ფოკალიზააცია, ხედვის კუთხეს, რაკურსაც გულისხმობს. ლექსიკონში, ამ სიტყვით აღინიშნება მოვლენა, სინათლის მიმარტულება, რომელიც სუბიექტსაც აშუქებს და დეტალებსაც.

ფოკალიზაცია, რეციპიენტის ყურადღების მიპყრობას, მისთვის მიმართულების მისაცემადაც გამოიყენება. რა მხრიდან მომდინარეობს და საითაა მიმართული? ეს ორი შეკითხვა, რომელსაც ფოკალიზაცია მოიცავს. სწორედ ამიტომ, ფოკალიზაცია ერთი ნაწამოების ფარგლებში შეიძლება იცვლებოდეს ან უცვლელი იყოს, მოერგოს პერსონაჟს, მთხრობელს (ავტორისეული ხმის გამხმოვანებელს) და კომპოზიის შექმნას უწყობდეს ხელს.

ვფიქრობთ, ფოკალიზაცია ტექსტურის მიხედვითა უნდა განვასხვავოთ: თუ ხედვის კუთხე აღწერილობით ტექსტში განიხილება (récit des paroles), მას რაკურსი შეიძლება ვუწოდოთ (აღწერილობითი ხასიათის ტექსტებთშიც); ამბის თხრობასთან დაკავშირებული (récit d’événement) იგი საკუთრივ ფოკალიკზაციად უნდა მოვიხსენიოთ. თუ ტექსტი ბევრ მოსაზრებას ეფუძნება, გამოხატავს პერსონაჟის თუ ავტორის ნააზრვეს და ფიქრებით და მსჯელობებითაა გაჯერებული (récit des pensées), თვლათახედვად უნდა მოვნათლოთ.